# წარმოადგენს თუ ვერა საკრებულოს მორიგ სხდომაზე ბესო ქათამაძე „ორჯიპიანთა სიას“, რომლებზეც წინასაარჩევნო პერიოდში, ფულადი სახით, დახმარებებია გაცემული

თემურ მარშანიშვილი



წარმოადგენს თუ ვერა საკრებულოს მორიგ სხდომაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი ლიდერი, დაბა ნასაკირალის მაჟორიტარი დეპუტატი **ბესო ქათამაძე** „ორჯიპიანთა სიას“, რომლებზეც აწ უკვე ყოფილ ქალაქის მერიას, წინასაარჩევნო პერიოდში, ფულადი სახით, დახმარებები აქვს გაცემული.

„ორჯიპიანთა დახმარების“ შესახებ ბესო ქათამაძის ეს ზეპირი ინფორმაცია და ამ საკითხზე უმრავლესობის მოთხოვნა, რომ დეპუტატმა შესაბამისი მტკიცებულებები მომავალ სხდომაზე წარმოდგინოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 7 თებერვლის სხდომაზე ფრაქცია „ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“ სახელით **შოთა გოგიბერიძის** მიერ ორი პრობლემური საკითხის მომცველ განცხადებას მოჰყვა:

*„ბატონო დავით, ძვირფასო კოლეგებო, მინდა შეგახსენოთ, რომ ჯერ კიდევ ბიუჯეტის მიღების წინა პერიოდში და შემდეგ, მიღების დროსაც, ჩვენი ფრაქცია სხვადასხვა სოციალური დატვირთვის საკითხებს აწარებდა. მათ შორის ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ ომის ვეტერანებისათვის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საომარ მოქმედებებში მონაწილე ადამიანებისთვის ერთჯერადი, ასლარიანი დახმარების გამოყოფა, რაც დაახლოებით 70 ათასი ლარის ოდენობის თანხას მოიცავდა. მსგავსი ფინანსური ინექცია განახორციელა ქალაქ ოზურგეთის საკრებულომ 2017 წლის განმავლობაში. ეს ინიციატივა, სამწუხაროდ, ბიუჯეტის მიღებისას ვერ იქნა გათვალისწინებული. ვიცი, რომ ფინანსთა სამინისტროშიც განიხილეს ეს საკითხი. მინდა, ვთხოვო საკრებულოს შესაბამისი კომისიის ხელმძღვანელს, ქალბატონ ლელა საჯაიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ხელმძღვანელს ბატონ გიორგი ჩაგანავას, ზოგადად უმრავლესობას და საერთოდ მთელ ჩვენს შემადგენლობას, ნუ შევჩერდებით, ვეცადოთ მაქსიმალურად გავიტანოთ ეს საკითხი ისე, რომ დაკმაყოფილდეს ამ კატეგორიის სოციალური ფენის ინტერესები.*

*გარდა ამისა, ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია მშრომელთა ინტერესები. შევისწავლეთ, პირადად მომიწია შეხება რამდენიმე საკითხთან, კერძოდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპების და სხვა სტრუქტურების სახელფასო უზრუნველყოფასთან. ძალიან ვწუხვარ, რომ აქამდე, ეტყობა, არ ვფლობდი ამ ინფორმაციას, ძალზე დაბალი ხელფასები აქვთ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, საბავშვო ბაღებში. არ ვიცი, ასეთი ხელფასით როგორ შეიძლება იარსებონ ადამიანებმა. მინდა, გთხოვოთ, ამ ინიციატივას გულისხმიერად მოვეკიდოთ. ეგებ კიდევ ერთხელ გადავხედოთ ამ საკითხს. საბავშვო ბაღებში არის ჯგუფები, რომლებშიც 40-მდე ბავშვია, ძალიან ბევრია ასეთი ჯგუფი და პედაგოგი 200 ლარამდე ხელფასს იღებს“.*

გოგიბერიძის ამ განცხადებას მყისიერად გამოეხმაურა საკრებულოს განათლების, კულ-

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 6 (10251) 12 თებერვალი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

## უცნაური სტუმარი ქალი ქრიშტიანო რონალდუს ქვეყნიდან



ქალაქ ოზურგეთში, სააქციო საზოგადოება „იმედის“ წინ უცნაურ სტუმარ ქალს წავაწყდი, რომელსაც თავისი აბგა და ხორაგი იქვე, ასფალტზე გაეშალა და სამ ალიკაპიან ძაღლს შორის ჩამჯდარიყო. დავინტერესდი, ვინ არის-მეთქი? ასე ამბობს, პორტუგალიელი ვარო, — მითხრა „იმედის“ თავკაცმა **ოლეგ გობრონიძემ.**

პორტუგალიურისა ინცი-ბინჩი არ ვიცი, როგორც მან ქართულისა და ერთმანეთს ვერაფერი გავაგებინეთ, მაგრამ გამიმართლა, ბედად ახალგაზრდა კაცი **კოტე კალანდაძე** წამომეშველა, რომელიც უცხო ენების სპეციალისტი ყოფილა.

მოკლედ, სტუმარი სარა **ფასოლში** პორტუგალიელი მოგზაური ყოფილა:

„პორტუგალიიდან ვარ, 17 წლისამ მშობლები დავტოვე და დამოუკიდებელ ცხოვრებას შევუდექი. უკვე რვა წელია, ასე ვმოგზაურობ ევროპის ქვეყნებში. ორი დღეა, თბილისიდან ჩამოვედი თქვენს ქალაქში, რომლის სახელი ჯერ ხეირიანად არც ვიცი. თან დამყავს ჩემი ოთხფეხა მეგობრები. ერთს თურქეთში დავუმეგობრდი და მას ახლა თქვენ ჩემგან მარცხნივ ხედავთ. ხომ კარგი ტიპია?“

სარა ამბობს, რომ ამ ფორმით ხანგრძლივი მოგზაურობისას მხოლოდ ერთხელ, ოთხი თვის წინათ შეექმნა პრობლემა: „რვაწლიანი მოგზაურობისას, მხოლოდ ერთხელ შემექმნა პრობლემა, ეს იყო ოთხი თვის წინათ, თურქეთიდან თქვენს ქვეყანაში გადმოსვლისას, ისიც ამ ძაღლების გამო, მაგრამ მეგობრებს ხომ არ დავტოვებდი?!“ კითხვაზე — ასეთი ყოფით როგორ გაქვს თავი, გვპასუხობს:

„შემწეობას ვიღებ, ოღონდ ისე, რომ არ ვითხოვ. ზოგიერთ ქვეყანაში პატარ-პატარა სამსახურსაც ვშოულობ კაფეებსა თუ ბარებში. გარდა ამისა, რაღაც-რაღაცეებს ვხატავ და ვყიდი. ზოგს მოსწონს, ზოგს — არა, მაგრამ მცირე შემოსავალს ვიჩენ ამით“.

დავინტერესდი, რას აპირებს მომავალში:

„ცოტა ხანს თქვენს ქვეყანაში დავრჩები, ზაფხულში მინდა აზიის ქვეყნებს გავეცნო, მერე ღმერთია მოწყალე...“

**თემურ მარშანიშვილი**

## მძიმე დამწვრობის გამო ლოგინად ჩავარდნილ ქალბატონს „კარიტასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში დაეხმარებიან

თემურ მარშანიშვილი

***ალიონი.*** ***ქალაქ ოზურგეთში, ჩანჩიბაძის №6-ში მდებარე ორსართულიან სახლში, რომელიც ლილი გოგუაძეს ეკუთვნის, ოთხი ოჯახი ცხოვრობს, აქედან სამი სოციალურად გაჭირვებული და შესაბამისად სახელმწიფოდან სოციალურ დახმარებას იღებს. მაყვალა ღიბრაძეს ამ სახლის პირველ სართულზე ერთი მომცრო ოთახი უჭირავს, რაშიც გამქირავებს თვეში 20 ლარს უხდის. ოთხი თვის წინათ ქალბატონმა მაყვალამ, ერთკამფორიანი გაზქურის ანთებისას სხეულის მძიმე დამწვრობა მიიღო და მას შემდეგ ფეხზე წამოდგომა ვერ შეძლო.***



ლოგინად ჩავარდნილი ქალბატონის ოთახში თავისი მეზობელი რუსუდან (მარუსია) დობორჯგინიძე შეგვიძლვა:

**— გამარჯობა, ქალბატონო! თუ წინააღმდეგი არ იქნებით, თქვენზე საგაზეთო წერილის მომზადებას ვაპირებთ.**

— ძალიან დამავალებთ. მობრძანდით.

**— გაგვეცანით, თუ შეიძლება.**

— მაყვალა ღიბრაძე ვარ, 65 წლის. ღიბრაძე მეუღლის გვარია, მე ჩიტაიშვილის ქალი ვარ, სოფელ ბახვიდან.

**— ვხედავთ, რომ აქ მარტოდ ხართ, ბახვში გყავთ ვინმე?**

— რძალი მყავს იქ, სხვა არავინაა ოჯახში.

**— როგორი რძალია — შვილის მეუღლე, ძმის ცოლი თუ...**

— ძმის ცოლია, პირველი ცოლი.

**— ძმა სადაა?**

— უკრაინაშია.

**— არ გეკონტაქტებათ?**

— არა, იქეთ ველაპარაკები. არეულობა რომაა, ვერ ჩამოდის.

**— არც სანათესაოდან გაკითხავთ ვინმე?**

— არა.

**— თქვენ განერიდეთ თუ იმათ აღარ ახსოვხართ?**

— არა, მე თვითონ. ქალაქში ვარ ხუთი წელი, ვვაჭრობდი და წამოვედი იქიდან.

**— ხომ ვერ გაიხსენებთ, ცეცხლი როგორ გაგიჩნდათ ოთახში?**

— რა ვიცი? მოხდა ასე. პატარა ბალონიანი გაზქურა მქონდა. ავანთე და ცეცხლი წამებრიალა. მაგრად დავიწვი.

**— და ამდენი ხნის განმავლობაში ვერ მოირჩინეთ?**

— ვერა, დარჩენილი მაქვს ცოტა, მაგრამ ჯერ ფეხზე ვერ ვდგები.

**— რით მკურნალობ, დარჩიას მალამოს აქებენ, აქედან ახლოს ცხოვრობს.**

— არა, დარჩია მალამოთი არ მიმკურნალია. ექთანი მყავდა მოყვანილი, ის მისმევდა წამალს, მპატრონობდა.

**— თავი რით გაგაქვთ ასე მარტოს?**

— სოციალური დახმარება მეძლევა და პენსია მაქვს.

**— კი, მაგრამ მწოლიარე ხართ, საკვები ვის მოაქვს, ვინ გაჭმევს.**

— მეზობლები (ქალბატონი მარუსიაზე მიგვითითა). ცეცხლსაც ისინი მინთებენ.

**— ვიცით, რომ შვილი გყავთ.**

გვ-3

# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;
– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 28,80 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*

## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**
*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**
*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

**დაიწყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

# საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია საქართველოს პარლამენტს და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიმართავს

„საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის“ **GRMA** წევრი მედიაორგანიზაციები ვეხმაურებით საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის, გიორგი იაკობაშვილის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ შეურაცხმყოფელ განცხადებას. გარდა იმისა, რომ იაკობაშვილი უხამსი სიტყვებით მოიხსენიებს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას, იგი უსაფუძვლო ბრალდებებით ცდილობს რეგიონებში მომუშავე ჟურნალისტების დისკრედიტაციას, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას.

გიორგი იაკობაშვილი ასევე შეურაცხყოფს და აკნინებს არასამთავრობო ორგანიზაციების იდეას და როლს, რაც რა თქმა უნდა, ხელს უწყობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ ნდობის შესუსტებას. ჩვენთვის, რეგიონში მომუშავე ჟურნალისტებისთვის, ეს კატეგორიულად მიუღებელი, უფრო მეტიც, შემაშფოთებელი გამოვლინებაა, რადგან გიორგი იაკობაშვილი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრად საქართველოს პარლამენტის მმართველი პარტიის სრული მხარდაჭერით არის არჩეული.

რეგიონულმა მედიამ ბოლო პერიოდში არაერთ გამოწვევას გაუძლო და დაამტკიცა, რომ პროფესიული სტანდარტების დაცვით, ერთგულად და ღირსეულად ემსახურება საზოგადოებას.

აქედან გამომდინარე, მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, დეპუტატებს, საჯაროდ გამოხატონ საკუთარი პოზიცია და გაემიჯნონ მათ მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრად არჩეული პირის განცხადებას .

*გაზეთი„მთავარი თემა სამეგრელოში“; გაზეთი „აჭარა პს“; „ჩემი ქობულეთი“; გაზეთი „გურიის მოამბე“; გაზეთი „კახეთის ხმა“; გაზეთი “სპექტრი“; გაზეთი „ალიონი“; გაზეთი „თრიალეთის ექსპრესი“; მედიასახლი „პოსტსკრიპტუმი“;* ***www.psnews.ge;*** *გაზეთი „ახალი გაზეთი“;* ***www.newpress.ge;*** *გაზეთი „გურია ნიუსი“; „ოკრიბანიუსი“:* ***www.okribanews.ge:*** *„სამხრეთის კარიბჭე“;* ***www.sknews.ge;*** *გაზეთი „ჩემი იმერეთი“: გაზეთი „ბორჯომი“; გაზეთი „სვანეთი“„* ***www.svanetiinfo.ge;*** *„ქვემო ქართლის საინფორომაციო ცენტრი“; „შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი“; გაზეთი „ზუგდიდი“.*

# ფრაქცია „ქართული ოცნება – კონსერვატორების“ თავმჯდომარე შეიცვალა

გასულ სამშაბათს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა, სადაც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძემ გააკეთა განცხადება, რომ „ქართული ოცნება – კონსერვატორების“ თავმჯდომარე შეიცვალა. აღნიშნულ ფრაქციას **დავით ჭაკნელიძე** უხელმძღვანელებს.

# „არა ძალადობას!“



დაბა ნარუჯის საჯარო სკოლაში ევროკლუბმა, სამოქალაქო განათლების კლუბმა და მოსწავლეთა თვითმმართველობამ განახორციელეს ერთობლივი აქტივობა „არა ძალადობას“.

გაიმართა გულახდილი საუბარი-დისკუსია უფროსკლასელ მოსწავლეებს შორის. მოსწავლეებმა გამოთქვეს თავისი მოსაზრებები, შეხედულებები და დამოკიდებულებები დღეს არსებულ პრობლემებზე, ისაუბრეს ძალადობაზე, გაიხსენეს პირადი და სხვათა მაგალითები ცხოვრებიდან, შეასრულეს როლური თამაშობები ძალადობის შესახებ.

ამ აქტივობების ძირითადი მიზანია მოემზადონ მოსწავლეები მშვიდობიანი, სამართლიანი საზოგადოების ფორმირებისთვის, რომელიც თავისუფალი იქნება შიშისა და ძალადობისაგან, განხორციელდეს „უსაფრთხო სკოლის“ კონცეფცია.

**მირანდა ცეცხლაძე,**
ეკოლოგიის სპიკერი

# საკრებულოს მორიგ სხდომაზე 20-მდე საკითხი განიხილეს



**ალიონი.** 7 თებერვალს საკრებულოს მორიგ სხდომაზე, რომელსაც დავით დარჩია უძღვებოდა, 19 საკითხი განიხილეს.

პირველად საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ყოველთვიური ლიმიტისა საკიხხი განიხილეს.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, საკრებულოს ის წევრები, რომლებიც არ არიან მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს 15 %–ს 450 ლარს მიიღებენ.

საკრებულოს წევრმააღნიშნული თანხა რომ მიიღოს, ამისათვის მან გარდა საკრებულოს სხდომის დასწრებისა, უნდა მიიღოს მონაწილეობა საკრებულოს კომისიების, ფრაქციების სხდომებში, ასევე – დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში. დეპუტატი ამომრჩევლებს უნდა შეხვდეს როგორც როგორც ქალაქად და სოფლად, ისე ადმინისტრაციულ შენობაში.

მეორე საკითხი, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლების გაცემის შესახებ –ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო-ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ,“– გადაიდო. მიზეზი-საკითხის სრულყოფილად მოუმზადებლობა დასახელდა.

საკრებულომ მათი აპარატის დებულება დაამტკიცა.

შემდეგ საკითხებად მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საფინანსო-საბიუჯეტო; სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების დაინფრასტრუქტურის; განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა; სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის; აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიების დებულებების დამტკიცების შესახებ 2017 წლის 14 დეკემბრის №13 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილებები შეტანის შესახებ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე იმსჯელს და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

შემდეგი საკითხები მუნიციპალიტეტის მერიისსამსახურების დებულებების დამტკიცებას ეხებოდა. ესენია: ადმინისტრაციული, მონაწილეობითი დაგეგმვისა და კომუნიკაციის; ეკონომიკურის განვითარებისა და ქონების მართვის; შიდა აუდიტის; სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის; საფინანსო-საბიუჯეტო; სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის; განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა; სოციალური და ჯანდაცვის საკითხთა;არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურები.

ასევე განიხილეს „საკრებულოს გენდერული საკონსულტაციო საბჭოს შექმნისა და მისი პერსონალური შემადგენლობის დამტკიცეს შესახებ“

საკრებულოს გადაწყვეტილებით დაიწყეს საჯარო-ადმინისტრაციული წარმოება გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დასამტკიცებლად.

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში „გენდერული თანასწორობის საბჭო" შეიქმნა



საბჭოს, რომელსაც საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ხელმძღვანელი ლელა საჯაია უხელმძღვანელებს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე იმუშავებს და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობას უზრუნველყოფს.

დღესვე დამტკიცდა პერსონალური შემადგენლობა, საბჭოში საკრებულოს 19 წევრი გაწევრიანდა. ესენი არიან: ლელა საჯაია - თავმჯდომარე, ეროდი გორდელაძე - თავმჯდომარის მოადგილე, ქეთევან ვასაძე- მდივანი, რიგითი წევრები: მარიკა ჩხიკვიშვილი, ხათუნა ცერცვაძე, დავით დარჩია, ნანული ორაგველიძე, ტარიელ აროშიძე, როზეტა სკამკოჩაიშვილი, თორნიკე გოგუაძე, ლალი სიჭინავა, გიორგი ღურჯუმელიძე, დავით მჟავანაძე, გენო ჩავლეშვილი, ბახვა დოლიძე, მაია ზოიძე, ლევან ნინიძე, ბესო ქათამაძე, გელა ჩავლეშვილი.

საკრებულომ 7 თებერვლის სხდომაზე „გენდერული თანასწორობის საბჭო"- ს დებულებაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

# წარმოადგენს თუ ვერა საკრებულოს მორიგ სხდომაზე ბესო ქათამაძე „ორჯიპიანთა სიას“, რომლებზეც წინასაარჩევნო პერიოდში, ფულადი სახით, დახმარებებია გაცემული

ტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლელა საჯაია:

*„ძალიან სენსიტიურ თემებს ეხებით, რა თქმა უნდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვმუშაობთ ამ საკითხებზე. არ მინდა ვინმეს შეექმნას შთაბეჭდილება, რომ თითქოს ვერ დავინახეთ ეს პრობლემები, ან არ ვიფიქრეთ ამ პრობლემის შესახებ. ძალიან კარგი იქნება, განცხადების გაკეთების დროს თუ მივუთითებთ წყაროს, ჩვენი ბიუჯეტიდან საიდან შეიძლება მოვიტანოთ თუ გინდ ვეტერანებისათვის ის 30 ათასი ლარი, ან ბაღის მასწავლებელთა ხელფასების მატებისათვის შესაბამისი ფინანსები. მე მირჩევნია, უფრო დავაკონკრეტოთ ეს საკითხი. თუ ვნახავთ, თქვენი ჩართულობითაც, ნებისმიერ საშუალებას, რომ შეიძლება ამ თანხების მობილიზება ამ მუხლში, ჩვენ თანახმა ვართ და, რა თქმა უნდა, დადებითად გადავწყვეტთ ამ საკითხებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ეს თანხები ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ბიუჯეტში. ვიმსჯელოთ, კიდევ ერთხელ გავიაროთ, არავინ არის წინააღმდეგი“.*

ბესო ქათამაძე და სხვა დეპუტატები შოთა გოგიბერიძისა და ლელა საჯაიას საუბარში მას შემდეგ ჩაერთნენ, რაც მხარეები შეთანხმდნენ რომ ფრაქცია „ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“, სპეციალისტებთან ერთად, მოამზადებდა ამ ინფორმაციას და წარუდგენდა შესაბამის კომისიებსა და საკრებულოს ხელმძღვანელობას.

**ბესო ქათამაძე:** საკითხთან დაკავშირებით, დავამატებ თუ შეიძლება. ქალბატონმა ლელამ აღნიშნა, საიდან მოვიძიებთ ამ თანხებსო. პირველ რიგში, თანხების მოძიება შეიძლება თუნდაც ხელფასების შემცირებით, რომ ვიზრდით, დავტოვოთ რაღაც კონკრეტულ ნიშნულზე. ვეტერანებთან დაკავშირებით, გეტყვით, რომ წინასაარჩევნო პერიოდში...

**გიორგი ღურჯუმელიძე:** აღნიშნულ საკითხზე განცხადება გაკეთდა მხოლოდ, ბატონმა შოთამ გააკეთა. განხილვას ახლა ნუ შევუდგებით, თუ განცხადების გაკეთება გნებავთ, უნდა ჩაეწეროთ.

**ბესო ქათამაძე:** დეპუტატი ვარ და მინდა, გამოვთქვა ჩემი მოსაზრება ისევე, როგორც ქალბატონმა ლელამ. პრობლემაა ამასთან დაკავშირებით, თუ რა ხდება?

**გიორგი ღურჯუმელიძე** – რეგლამენტის დარღვევაა, რასაც თქვენ აკეთებთ ახლა.

**ბესო ქათამაძე:** რეგლამენტის კი არა, დავასრულებ ამას. რაც შეეხება ვეტერანების თემას – მე გამოვითხოვე დოკუმენტაცია და მივიღე. ქალაქს ჰქონდა დარიგებული 100-100 ლარი ვეტერანებთან დაკავშირებით და ეს იყო წინასაარჩევნო პერიოდში, ვეტერანებთან გათანაბრებულ პირებზე. იქ არის სახელები, გვარები, პირადობის ნომრები, დაბადების წლებით, თქვენ რომ ნახოთ, რაც ხდება, ეს არის სირცხვილი. გამოიყენა ადმინისტრაციამ ეს ხალხი მხოლოდ იმისთვის, რომ რაღაც ხმები მიეღო წინასაარჩევნო პერიოდში და რეალურად ეს დახმარება მიზნობრივად იმ ადამიანებთან არ წასულა, ვისაც ერგებოდა... თანხობრივი და რაღაც პრობლემები რომ არ იყოს წინასაარჩევნოდ, გავაკეთოთ ვაუჩერი, კომუნალური ვაუჩერი. ეს იქნება კარგი ფორმა და თუ იქნება კომისია, შეგვიძლია, მოვიზიდოთ თანხებიც.

**ლევან კილაძე:** თქვენ ამბობთ, რომ ვეტერანებთან გათანაბრებულებს მისცეს დახმარება

**ბესო ქათამაძე:** კი.

**ლევან კილაძე:** და ამბობთ, რომ არ უნდა მიეცათ?

**ბესო ქათამაძე:** კი, უნდა მიეცათ, მაგრამ ისე არა, როგორც გაიცა, საერთოო რომ არაფერი აქვთ ვეტერანებთან და გათანაბრებულებთან.

**ლევან კილაძე:** თუ სოციალურად დაუცველებს დავეხმარეთ 100-100 ლარით, ეს...

**ბესო ქათამაძე:** სიას გაჩვენებთ კიდევ, რომელია სოციალურად დაუცველი, ორი ჯიპით რომ დადის?

**ლევან კილაძე:** ორჯიბიანს ასი ლარი არ სჭირდება, მოიტანეთ ორჯიპიანების სია.

**ბესო ქათამაძე:** კი, მოვიტან და იმასაც, რა მიზნობრივობითაც არის გაცემული ის ხარჯები.

**ლელა საჯაია:** დავაყენოთ ეს საკითხი და შევისწავლოთ.

**მარიკა ჩხიკვიშვილი:** მოგიწოდებთ, ბატონო ბესო, რომ მომავალ სხდომაზე წარმოადგინოთ ეს ინფორმაცია იმიტომ, რომ ისე ბრალდებები არ შეიძლება, შეურაცხყოფას აყენებთ მთლიანად სოციალურ სამსახურს და ყველას, ვინც იქ მუშაობს.

**ბესო ქათამაძე:** პრობლემა არ არის, წარმოგიდგენთ.

# მძიმე დამწვრობის გამო ლოგინად ჩავარდნილ ქალბატონს „კარიტასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში დაეხმარებიან

**ასეთ გასაჭირში რატომ არ არის თქვენთან?**

– ჩემი გოგო ბათუმშია.

– **რას საქმიანობს?**

– არაფერს. გათხოვილია და არის იქ. იყო ჩამოსული, მთელი ორი კვირა დარჩა ჩემთან.

– **ახლაც საერთოდ ვერ დგებით ფეხზე?**

– კი, ვდგები, მაგრამ ცალი ფეხი მიჭირს ძალიან.

– **სხვა მხრივ თუ ეჩვენეთ ექიმს?**

– კი, გადასხმები გამიკეთეს, წნევა დამირეგულირეს.

– **ადგილობრივ ხელისუფლებაში თუ იციან, რომ ასეთ მძიმე მდგომარეობაში ხართ და ხომ არ გაუწევიათ რაიმე სახის დახმარება?**

– ოზურგეთს გამგეობას ახლა რა ჰქვია?

– **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.**

– ე, მაქედან ველოდები დახმარებას. სოციალური სამსახურიდან იყვნენ, ფორმა-100 აიღე, შემდეგ მოდი და განცხადება დაგვიწერეო. მაშინ ვერც ერთი შევძელი და ვერც მეორე. ახლა ფორმა-100 სახლში მომიტანეს, განცხადების დასაწერად როგორმე მივაღწევ იქამდე და მერე პირს არ შეიშლიან, ალბათ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ სამსახურში დაგვიდასტურეს, რომ იციან მაყვალა ღიბრაძის მძიმე სოციალური მდგომარეობის შესახებ, რომელსაც ახლა განცხადების დასაწერად მერიაში მისვლა აღარ დასჭირდება. საქველმოქმედო ორგანიზაცია „კარიტასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ამ დღეებში თვითონვე მივლენ ბენეფიციართან და ყველანაირ სამედიცინო (მედიკამენტები, ჰიგიენური) და სოციალურ მომსახურებას გაუწევენ მას.

<u>მაჟორიტარები</u>

# თითოეული ბოხვაურელის ინტერესების სადარაჯოზე



*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გელა ჩავლეშვილი წარმომადგენლობით ორგანოში ბოხვაურის მაჟორიტარული ოლქიდან 609 (70.65%) ხმით უკვე მეორედაა არჩეული.*

„სოფელმა გამოგიცხადოს ასეთი მაღალი ნდობა, თანაც მეორედ, ნიშნავს დაინახოს და დააფასოს ყველა ის გაკეთებული საქმე, რაც გასულ წლებში მე, როგორც დეპუტატმა, აღმასრულებელ რგოლთან ერთად, კოორდინებული მუშაობით შევძელი. სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა და სოციალური საკითხები. სწორედ ამ მიმართულებით იქნა წარმართული გასულ წლებში ჩემი ძირითადი მუშაობა, გუნდისა და აღმასრულებელ რგოლის მხარდაჭერით.

აღსანიშნავია, რომ ბოხვაურსა და სოფელ ჭალაში 2014-2017 წლებში შესრულდა რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა: განხორციელდა სოფლის სრული გაზიფიცირება (გაზიფიცირებული იყო მხოლოდ 20%); სოფლის მხარდაჭერის პროგრამით (2015-2016 წლები) შესრულებულია საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები და გაზის შეყვანა სამზარეულოს ბლოკში; სოფლის ქუჩების გარე განათების მოწყობა; სტადიონის ღობის მოწყობა (ნასათიბვარი, ჭალა, ბოხვაურის ცენტრში); გზის ორმული შეკეთება; გაბიონის მოწყობა; 2017 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელდა ბოხვაურის სასაფლაოს ღობის აღდგენა; 2015 წელს სოფლის საჯარო სკოლაში მოეწყო შენობაში შესასვლელი პანდუსი; სოფლის ადმინისტრაციული შენობის დარბაზში დამონტაჟდა 50 სავარძელი და საკონფერენციო მაგიდა; 2015-2017 წლებში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ შესრულდა შემდეგი სამუშაოები: მდინარის კალაპოტის რეაბილიტაცია, ჯებირის აღდგენა სოფლის ცენტრში და სტიქიით დაზიანებული გზის მოხრეშვა; ამასთან, სტიქიის შედეგად მოქალაქეთა საცხოვრებელ სახლებზე მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სახურავების გადახურვისა და სამშენებლო მასალების მიწოდებაზე ბიუჯეტიდან გამოყოფილი და ათვისებული თანხა ჯამურად შეადგენს 257 891 ლარს.

განხორციელებული პროექტებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბოხვაური-შემოქმედის 5-კილომეტრიანი გზის რეაბილიტაციის პირველი და მეორე ეტაპი, რომლის ღირებულება პროექტირების ჩათვლით შეადგენს 1 138 501 ლარს. სოფლის ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებაზე 2015-2017 წლებში სულ ათვისებულია 1 537463 ლარი. სოციალური დახმარების სხვადასხვა პროგრამით ბიუჯეტიდან დაფინანსდა 350-ზე მეტი ჭალა-ბოხვაურელი ჯამური თანხით 77,0 ათასი ლარი.

დღეს საკრებულოში კვლავ ჩემი თანასოფლელების, ბოხვაურელების ინტერესების დამცველი და პრობლემების გამხმოვანებელი ვარ. გაკეთებული საქმეების მიუხედავად, სოფელში პრობლემები მრავლადაა. რეაბილიტაციას მოითხოვს ბოხვაური-ჭალის და ჭალა-დვაბზუს დამაკავშირებელი გზა; შესასრულებელია სოფლის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები; აღსადგენია კულტურულ მემკვიდრეობათა ნუსხაში შემავალი ჭალის ეკლესია;

ვიმედოვნებ, მომდევნო წლები იქნება კიდევ უფრო მეტი გაკეთებული საქმისა და შესრულებული ვალდებულებების. ბოხვაურელებო, მე, როგორც თქვენი რჩეული, ვიდგები თითოეული თქვენგანის ინტერესის სადარაჯოზე“.

# „ურეკელთა ინტერესების დაცვა ჩემი საქმიანობის მთავარი პრინციპია“



დაბა ურეკის მაჟორიტარი გოჩა მდინარაძეა. მან 2017 წლის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში, ამომრჩეველთა 423 (58.91%) - ხმით საკრებულოს წევრობის მანდატი მიიღო.

დაბა ურეკი არამარტო ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის, არამედ ქვეყნის მასშტაბით უნიკალურ, სამკურნალო, გამაჯანსაღებელ კურორტს წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა შავი ზღვის სანაპიროს, კერძოდ, მაგნიტური ქვიშის უნიკალურობაშია. ეს კიდევ დამატებით პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს მაკისრებს, ვიყო აქტიური, მოტივირებული და საქმეზე ორიენტირებული დეპუტატი საკრებულოში.

ჩვენი ხელისუფლებისთვის პრიორიტეტად იქცა საკურორტო ზონის განვითარება. ამას მოწმობს ურეკი-შეკვეთილის გენერალური განაშენიანების გეგმის დამტკიცებაც, რომელიც კურორტის გეგმაზომიერ განვითარებას შეუწყობს ხელს. დაიწყო რიგი პრობლემების მოგვარება, მოასფალტდა ცენტრალური გზა; ურეკის მოსახლეობას და დასმვენებლებს მალე უწყვეტი, ხარისხიანი წყალმომარაგება ექნება. 80 მილიონიანი პროექტი კომპლექსურ სამუშაოებს მოიცავს, რაც წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის სრულად მოწესრიგებას, ასევე წყალინარების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობას ითვალისწინებს. პროექტს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ახორციელებს. თუმცა პრობლემა რჩება ე.წ. ზედა ურეკისა და წვერმაღალას დასახლებაში.

დიდი ყურადღება ექცევა სკოლამდელ განათლებას. ფონდმა „ქართუ“ თანამედროვე, ევროსტანდარტების შესაბამისი საბავშო ბაღი ააშენა და ამ ეტაპზე, კიდევ ერთ ახალ, მაღალი სტანდარების ბაღს დაბა ურეკში აშენებს.

ურეკის მთავარი სიმდიდრე მისი სანაპირო ზოლია. მუნიციპალიტეტი ბოლო წლებია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აწესრიგებს ზღვის სანაპიროს.

მიუხედავად გაკეთებული საქმეებისა, მრავლად რჩება მოსაგვარებელი პრობლემები. მოსახლეობის დიდი სურვილი დაბასთან დამაკავშირებელი შემოვლითი გზის მშენებლობაა, რეაბილიტაციას საჭიროებს შიდა გზებიც. მოსაწესრიგებელია სამელიორაციო არხები. დაბა ურეკში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გამართული, კარგად აღჭურვილი ამბულატორიის ფუნქციონირება, განსაკუთრებით ტურისტული სეზონის დროს.

მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით იწყება ბულვარის მშენებლობა, ზღვაზე გასასვლელი, ფეხით მოსიარულეთათვის და ველობილეკების კეთილმოწყობა. განახლდება გარე განათებებიც. აღნიშნული სამუშაოების დასრულება კიდევ უფერო გაალამაზებს ჩვენს საკურორტო ზონას და ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვას.

ვიყო ურეკელების ხმა საკრებულოში ნიშნავს, ვისაუბრო ყველა ამ პრობელემაზე და ვიზრუნო მათთან ერთად გადაჭრის გზების ძიებაზე. თქვენი ნდობის გამართლება, თქვენი ინტერესების დაცვა და აზრის გათვალისწინება არის ჩემი საქმიანობის მთავარი პრინციპი. მიგულეთ თითოეული ოჯახის გვერდით!

# „მხოლოდ ენთუზიაზმით შევძელი „ჩაქირას“ დღემდე შენარჩუნება“



გურიის ისტორიულ სოფელ მაკვანეთში, მდინარე აგიდაყვას ხეობაში, მთებთან ახლოს ლამაზი დასახლებაა. აქ მცხოვრებთა უმეტესობის ოჯახების ისტორია მე-18-19 საუკუნიდან იწყება. ერთ-ერთი ასეთია **ილო თოიძის** ოჯახი, რომელიც უკვე მეხუთე თაობაა ინარჩუნებს უნიკალურ, უძველეს ქართული ძაღლის ჯიშს, რომლის წარმომავლობა დავით აღმაშენებლის ზეობის პერიოდზე მეტს ითვლის.

პირველი, რაც ასე გეცემა თვალში, ამ ლამაზ ეზო-კარმიდამოში, ეს 100 წელზე მეტი ხნის ოდა-სახლია, რომელსაც გაუძლია დრო-ჟამის ცვალებადობისთვის. საქმე ის არის, რომ გურიაში, განსაკუთრებით ოზურგეთში, თითზე ჩამოსათვლელია ძველი ნაგებობები. ამის მთავარი მიზეზი, თურქთა მიერ 1918 წელს ოზურგეთის მესამედ გადაწვაა, რის დროსაც ოზურგეთში ასეულობით ქვის და ხის ნაგებობა განადგურდა.

აგიდაყვა ვთქვით, მაგრამ ეზოს უფრო ახლოს პატარა მდინარე ჩამოუდის, რომელსაც ბოლოწმინდას უწოდებენ და იგი ზემოთ, გოგიეთიდან იღებს სათავეს. ჩამოირაკრაკებს ეზო-კარმიდამოებს, აამუშავებს წისქვილებს, ზაფხულში სიგრილეს დაუტოვებს ლამაზ წალკოტებს და ქვევით ეშვება. სათავიდან დაახლოებით 5-6 კილომეტრის გავლის შემდეგ მდინარე აგიდაყვას უერთდება. რადგან წისქვილი ვახსენე, უნდა საქებარი ვთქვა ილო თოიძის მიმართ. ოჯახის ისტორიული წისქვილი საუცხოოდაა მოვლილი, თანაც, როგორც მასპინძელმა ბრძანა, „ჩვენს წისქვილს „უმინდო წისქვილი“ ჰქვია, მეზობლიდან მინდს როგორ ავიღებო.“ეზოში წისქვილისათვის „სათადარიგო“ მურღულის ქვებიც აწყვია.

ძველ სამზად სახლში, რომელსაც რატომღაც „კუხნას“ ვეძახით, შუაგულ ადგილას დევს კერიის დიდი ქვა, რომლის ძირში, „ღადარში“, როგორც მასპინძელმა გვითხრა, ბავშვობაში ბებია 4 სახის „გურულ კვერს“ უცხობდა. სამზადის ჭერიდან ალბათ ორი საუკუნის წინ დამზადებული ჯაჭვია დაშვებული...

შენობის გვერდით, „გადმოხურულში“ თავს იწონებს 45-ფუთიანი ცაცხვის საწნახელი, რომელშიც ყოველ-შემოდგომაზე ფეხით ჩამდგარი მამაკაცები„აგუნა, აგუნა, გადმოიარეო“, აგუგუნებდნენ. როგორც მასპინძელი ამბობს, ამის გარდა, კიდევ სამი საწნახელი ჰქონდათ, მაგრამ ამჟამად კიდევ ერთია შემონახული.

წისქვილის გვერდით მცირე მუზეუმია მოწყობილი, სადაც გურული ყოფის ამსახველი სპილენძის ნაკეთობა და არაერთი სხვა ნივთია. კედელზე კი დრო-ჟამისაგან დაძველებული და გაცრეცილი გურიის ჯანყის ამსახველი დიდი ტილოა გამოფენილი. ტილო აშკარად რესტავრაციას საჭიროებს... ცალკე თემაა ნიჭიერი კაცის ხელით შექმნილი ხის ნაკეთობები: მაგიდა, სკამები და ა.შ.

ეზო-კარმიდამოს ამშვენებს შქერის ღობე და ცაცხვის დიდტანიანი ხეები, ხეხილი. ეზოში თავს იწონებენ დეკორატიული აგავები...

ფუტკარიც ბევრი ჰყოლია, მაგრამ რამდენიმე წლის წინ დიდი ზარალი უნახავს. ახლა თავიდან იწყებს ფუტკრის ოჯახების გამრავლებას.

და მაინც, ამ ოჯახის მთავარი საზრუნავი „ჩაქირას“ გადარჩენაა. კინოლოგები მას მეკვერნე მყეფარათა საერთო ჯიშს მიაკუთვნებენ.

ილო განსაკუთრებულად უვლის ძაღლებს. აჭმევს, წვრთნის... 4 წლის წინ ქ. ქუთაისში, ძაღლების საერთაშორისო გამოფენაზე გაიმარჯვა და „ოქროს თასით“ დაჯილდოვდა. 2016 წელს კვლავ ქ. ქუთაისში გამართულ ექსტერიერ შოუზე „ოქროს თასი“აიღო....

ბატონი ილო თავის გულისტკივილს გვიზიარებს:

— თავად ხედავთ, როგორ ვცდილობ ამ ჯიშის გადარჩენას. სამწუხაროა, რომ ჯიში არაა აღიარებული არც ერთი კინოლოგიური ფედერაციის მიერ. არც ერთ ძაღლსაშენში არ ხდება ამ ჯიშის მოშენება. მხოლოდ ენთუზიაზმით შევძელი ამ ჯიშის აქამდე შენარჩუნება. ან რა უფლება მაქვს, ოჯახის ტრადიცია არ განვაგრძო. ეს ჩემი წინაპრების პატივისცემაა. იცოდნენ იმათ ამ ჯიშის ფასი, მაგრამ მათ სხვა პირობები ჰქონდათ. ძაღლის გაწვრთნა არ უჭირდათ. ახლა დასაგეშად კვერნაზე სანადიროდ რომ წაიყვანო, ჯარიმის გადახდას ვერ შეძლებ. ოჯახის ბიუჯეტის მეტი წილი ამ ძაღლების მოვლას სჭირდება.

**—როდის მიჰყავთ „ჩაქირა“კვერნაზე სანადიროდ?**

—დაგეშილი ძაღლი ზამთარში, როცა კვერნაზე ნადირობის სეზონია, განუწყვეტლივ ყეფს და ითხოვს სანადიროდ წაყვანას. იგი ხშირად მონადირეს დამწყვდეული ან ჯაჭვით დაბმული ჰყავს. ამის გამო, „ჩაქირა“ იმდენად ავი ხდება, რომ, პატრონს გარდა, არავის იკარებს. მისი გაშვება არ შეიძლება, რადგან სხვა ძაღლებს ებრძვის. ამ ძაღლს ნადირობისას ხეზე ასვლაც კი შეუძლია..

**—გქონდათ შემოთავაზებები? რატომ არ ხდება კინოლოგების მიერ ამ ძაღლის ჯიშის აღიარება?**

— შემოთავაზებები, რა თქმა უნდა ,მქონდა. თურქი სელექციონერები მთხოვდნენ, მიმეყიდა ეს ძაღლები დიდ ფასად, მაგრამ არ დავთანხმდი.მათი მიზანი იყო ჯიშის ოდნავ სახეცვლილებით „ჩაქირას“ თურქული წარმომავლობის ძაღლად გასაღება. თავის ძაღლსაშენში გადასვლას და კარგ პირობებს მთავაზობდა აჭარის მაშინდელი ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე. არ დავთანხმდი... ქართველი კინოლოგები მაშინ აღიარებენ ამ ძაღლს, როცა მისი რაოდენობა 40-მდე იქნება. მე კი არავინ მეხმარება, რომ ამ ძაღლების რაოდენობა ამ ციფრამდე ავიყვანო. არადა, დღეს, როცა გურიაში ტურიზმის განვითარებისთვის ასეთი ნაბიჯებია გადადგმული, შესაძლო იყო მაკვანეთში სამონადირეო ტურიზმით დაინტერესებული პირები მოგვეწვია.

**ჯანვერდი ცეცხლაძე,** გურიის ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე: —„გააცოცხლე გურიას“ ფარგლებში, გურიაში ტურიზმი უნდა განვითარდეს. მე სხვა სოფელზე არ ვიტყვი, მაგრამ მაკვანეთში 2 ეკლესიაა,აქედან ერთი ილო თოიძის სახლიდან არც ისე შორს, ნაკაშიძეების გარაკზე დგას. აქვე შენდება არტემ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახლმუზეუმი.ამ უბნის თავში ანზორ ერქომაიშვილის სახლია, აქვე ცხოვრობენ გოლიაძეები, უფრო ქვემოთ სიხარულიძეები.. რამდენიმე ოჯახია, რომლებსაც ტურისტების მიღება შეუძლია. არიან ისეთები, რომლებიც მხოლოდ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტს აწარმოებენ (მაგალითად ჭეიშვილების ოჯახი). ჩემი ეკომუზეუმი უკვე ათეულ წლებს ითვლის. მართლაც დასაფასებელია ამ ოჯახის შრომა და ღვაწლი. სამონადირეო ტურიზმით დაინტერესება დიდია. ზუსტად ამ უბნის ზემოთ ბაზიერების გორაკია. აქ იჭერდნენ ათეული წლების მანძილზე გასაწვრთნელ ქორ-შევარდენს ცნობილი ბაზიერები... გურიის ტურისტულ რუკაზე ილია თოიძის ოჯახი უნდა შევიდეს. აქ ბევრ რამეს ნახავს ქართველი თუ უცხოელი ტურისტი. ...

თოიძეების ოჯახმა სუფრასთან მიგვიწვია. ქალბატონი ლალის „რეცეპტით“ მომზადებული ლობიო და იხვის „ჩახარჩული საცივი“, კეცზე შქერის ფოთლებში გამოცხვარი მჭადი... მართლაც საუცხოო იყო. ამას დაუმატეთ თოიძეების მარნის ჭურის ღვინო.... მოკლე, მაგრამ დასამახსოვრებელი შეხვედრა იყო.

უფალმა აძლიეროს საქართველოში ასეთი ოჯახები!

**ნუგზარ ასათიანი**



# ვინც დავიწყებას არ მიეცემა



ხუტა ბერულავას აქვს ერთი გენიალური ფრაზა: „მე რომ ექიმი ვიყო, ავადმყოფს გამოვუწერდი პირველად ღიმილს“. ვერ გეტყვით იმას, რომ ამ მომცრო წერილის პერსონაჟი **მადონა ჩხარტიშვილი-კილაძისა,** პროფესიით მედდა, რეცეპტით ხელში დადიოდა და თავის პაციენტებს სათითაოდ ღიმილს უწერდა-მეთქი, მაგრამ იმის თქმა ნამდვილად შემიძლია, რომ შეუძლოდ მყოფ ადამიანს, განუმეორებელი ღიმილით, ხალასი იუმორით, ჯერ კარგ გუნებაზე მოიყვანდა და მერე იწყებდა თავის პროფესიული მოვალეობის შესრულებას. გამომშვიდობებაც სასწაული იცოდა, ქართველები ავადმყოფობისთვის ვერ უნდა ვიცლიდეთო, — გეტყოდა და ისე გამოგაცილებდა, ფეხს აითრევდი, იქნებ კიდევ მოგაწიოს ორიოდე სიტყვა, რომელიც მალამოსავით ედებოდა სულს. ამ ანდამატური ქმედებით შეეძლო იმედგადაწურული იმედიანად ექცია.

იშვიათად მდიდარი ქალი იყო ადამიანური ღირსებებით. ხალხის საზოგადოების სიყვარული, რაც მან დაიმსახურა, ალბათ, ერთეულთა ხვედრია. საკუთარ დიდ შეცდომად მიმაჩნია, რომ ქალბატონ მადონაზე ახლა წარსულ დროში ვწერ და მანამდე გაზეთში ცოცხალზე ვერ ვთქვი მისთვის საკადრისი სიტყვა.

ანასეულისათვის, სადაც ეს ქალბატონი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ჯერ თავზარდამცემი აღმოჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მადონა კილაძეს ავთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა, შემდეგ ეს თავზარდაცემა მისი გარდაცვალებით გამოწვეულმა მწუხარებამ შეცვალა, მწუხარებამ, რომელიც არასოდეს განელდება.

დრო ულმობელია, ყველაფერს გვართმევს, მაგრამ ადამიანები იმიტომ ვართ, რომ ღირებულის წართმევა არ დავანებოთ. იმის თქმა მინდა, რომ ისეთი უბრალო და ამავე დროს დიდებული პიროვნების ხსოვნა და ღვაწლი, როგორიც ქალბატონი მადონა კილაძე იყო, დავიწყებას არ მიეცემა.

კილაძეების ოჯახში ახლა პატარა ბიჭი დატანტალებს, რომელზეც მის ბებოს ქალბატონ მადონას მზე ამოსდიოდა. უფლის ნებით, მალე, ალბათ, აქ პატარა გოგოც ატიტინდება, რომელსაც აუცილებლად მადონა ერქმევა.

**თემურ მარშანიშვილი**

# გურიანთელი სერგო ტოტოჩავას მოწოდება



„ერთობლივად უზრუნველვყოთ გურიანთელთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, სულიერი და კულტურული დონის ამაღლება“.

გურიანთელი სერგო ტოტოჩავა ორიგინალურ მიმართვას აქვეყნებს სოციალურ ქსელში:

„მოგმართავთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია გურიანთა და გურიანთელები. ყოველგვარი პარტიულ-რელიგიური შეხედულებების მიუხედავად, შევიმუშაოთ სათანადო წესდება, გავხსნათ ანგარიში ბანკში საწევრო ანარიცხებისათვის, შემოწირულობისათვის და სხვადასხვა საქმიანობისათვის, რათა ერთობლივად უზრუნველვყოთ გურიანთელთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, სულიერი და კულტურული დონის ამაღლება. შენიშვნები, მოსაზრებები და წინადადებები გამოაგზავნეთ ელფოსტაზე stotochava@ bk.ru“ - წერს სერგო ტოტოჩავა.

# მამია კილაძის ორი ლექსი „ალიონის“ მკითხველს



**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, კარგი კალმოსანი, მრავალმხრივ საინტერესო მოღვაწე, 45 წლის განმავლობაში ჩვენი გაზეთის უცვლელი რედაქტორის მოადგილე, ბატონი მამია კილაძე 7 თებერვალს 89 წლის გახდებოდა. გთავაზობთ ორიოდე ლექსს მისი მდიდარი შემოქმედებიდან**

## ეპიტაფია

ცხოვრების რისხვამ
ძირს ვერ დასწია,
ვერ წააქცია,
ილვაწა მართლად,
დაიწვა სანთლად,
დაიცვა ნათლად
კაცურ – კაცობის
დისერტაცია.
მრავალი ტომი
მისი ნაშრომი,
მისი ღვაწლია,
მისი გონების
ანარეკლია,
მისი ძეგლია.

## რითმებთან თამაში

შაშვი შეფრინდა სუროში,
თაგუნა შეძვრა სოროში.
ქოხს ახურავს თავზე ისლი,
თითქოს იყოს ყანის ასლი.
არავისი არ მაქვს სესხი,
არ მაშინებს ზამთრის სუსხი.
არ მაშინებს ისე სეტყვა,
როგორც შენი მწარე სიტყვა.
ნუ სწუხარ მოკლე კაბაზე,
როცა ადიხარ კიბეზე.
მიყვარს რითმებთან თამაში,
ცუდი რა არის ამაში?

*ძველი ოზურგეთია ქრონიკები*

# ქალაქის ეკლესიები





გურიის სამთავროში სამი ეპარქია იყო: შემოქმედის, ჯუმათის და ხინოს. შემოქმედელს მთავარეპისკოპოსის ან მიტროპოლიტის ტიტული ჰქონდა და სუფსა და ჩოლოქს შორის მდებარე ტერიტორია ექვემდებარებოდა. ჯუმათელი რიონსა და სუფსას შორის მდებარე ტერიტორიას განაგებდა.ხინოწმინდელი ქვემო გურიას-ჩოლოქსა და ჭოროხს შორის მცხოვრებთა უმაღლესი სასულიერო განმგებელი იყო.ხინოწმინდის ეპარქია XVIIIს. 70-იან წლებშიც მდგარა. XIXს. დასაწყისში გურიაში სამი მონასტერი: შემოქმედის,ჯუმათისა და იოანე ნათლისმცემელის (გურიის უდაბნო) და რამდენიმე საწინამძღვრო (საკუთარი ყმამამულის მქონე სამწირველო) იყო,ზოგ გვარს ცალკე საჯვარე (სამლოცველო) ჰქონდა. 1877წლის გაზეთ „დროების“ ცნობით: „გურიაში ოთხმოცდათექვსმეტი შტატის ეკლესიაა, ამ რიცხვში თოთხმეტი თუ თექვსმეტი ორშტატიანია .გურიის საეპარქიო განყოფილება ექვს საბლალოჩინო შეიცავს“.

პროფ. ქველი ჩხატარაშვილი აღნიშნავს, რომ:, მამია V გურიელის დროს უნდა იყოს აგებული ოზურგეთში წმინდა მარინეს ეკლესია,რომელიც XIX ს. მეორე ნახევარშიც იდგა“. (ქვ. ჩხატარაშვილი „გურიის სამთავროს შეერთება რუსეთან“თბ.1985წ.გვ 33.59).

ოზურგეთში თედო სახოკიას ცნობით 1897 წლისათვის ორი ეკლესია უნდა ყოფილიყო. „ეკლესია ორია ოზურგეთში ორივე ხისაა და საკმაოდ ძველი, ერთს რუსის ეკლესიას ეძახიან და შიგ დადიან სამხედრონი,ხოლო მეორე ქართველებისაა, ორივე ეკლესიას წინ უდევს კოხტა მინდორი გარშემო ხეებშემორიგებული“ .(თ.სახოკია „მოგზაურობანი“.ბათუმი 1985 წ.გვ.)

ოზურგეთში არსებობდა კიდევ ერთი კათოლიკური ეკლესია ,რომელსაც ხალხი ფრანგების ეკლესიას ეძახოდა, რომელიც მეოცე საუკუნის 40-იან წლებში დაანგრია ბოლშევიკურმა რეჟიმმა. ეკლესია წმინდა სტეფანეს სახელობის ყოფილა. ეს ცნობა მომაწოდა ოზურგეთში სტუმრად მყოფმა ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარმა პადრე გაბრიელ ბრაგატინიმ, რომელის დაინტერესებულია აღნიშნული ეკლესიის ისტორიით ბატონ გაბრიელთან ერთად ფეხით მოვიარეთ ის ადგილები სადაც ზემოთ აღნიშნული კათოლიკური ეკლესია იყო..დღეისათვის ეკლესიის არანაირი ნაშთი არ არსებობს გადმოცემით ლოკალიზდება მისი ადგილსამყოფელი. ეკლესია მდებარეობდა ქალაქის სამხრეთით ყოფილი აბაშიძის (ახლანდელი ექვთიმე თაყაიშვილის) მეორე ჩიხში არსებულ რამდენიმე მოსახლის საკარმიდამო ნაკვეთზე. ზურაბ ახმეტელის გადმოცემით (მცხოვრები ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა მეორე ჩიხი 3) სახლი აუშენებია მამამის გივი ახმეტელს,რომელიც თბილისიდან გადმოიყვანეს ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში სამუშაოდ და სამოსახლო ნაკვეთიც გამოუყვეს.ზუსტად ამ ეზოში მდებარეობდა ის ეკლესია,რომელსაც ოზურგეთლები „ფრანგების ეკლესიას“ ეძახოდნენ. ეკლესიის ეზო ყვავილებითა და სხვა დეკორატიული მცენარეებით ყოფილა დამშვენებული. აღნიშნული ბაღის შესახებ გაზეთი „ლენინის დროშა“-ში პატარაა ცნობაა დაბეჭდილი“უპატრონო ბაღი“:აბაშიძის ქუჩაზე არის ფრანგთა ყოფილი ეკლესიის დეკორატიული ბაღი, ახლა იგი ქალაქის საბჭოს ეკუთვნის, მაგრამ მას არ პატრონობენ, არ ჰყავს მცველი, შეუღობავია, პირუტყვისაგან საკმაოდ დაზიანებული, ბაღი გაზაფხულზე გაახსენდებათ, ხოლმე არა ქალაქის საბჭოს, არამედ დამკრძალავ ბიუროს, დაჰკრეფს ყვავილებს გვირგვინისათვის და შემდეგ დაივიწყებენ.“ (გაზ.“ლენინის დროშა“ 1944 წელი №36, 14 სექტემბერი). ეკლესიის ეზოში სასაფლოებიც ყოფილა, რომელსაც ერთი რუსის ქალი უვლიდაო გადმიგვცემენ. ეკლესიის გარშემო სამხედრო ბარაკები ყოფილა,რომელიც მოგვიანებით აუღიათ და იქ დასახლებულან: ჟორა ერქომაიშვილის, არკადი ვაშალომიძის,,ზურაბ კიშინსკის, კუკური იაბლონსკის, გულნარა, ხელაძის, გივი ახმეტელის ოჯახები. ამჟამად აქ მათი შთამომავლები ცხოვრობენ. როცა აქ მოსახლეობის დასახლება ხდებოდა, მაშინ ეკლესიის ნანგრევებზე, რაღაც კლუბის მსგავსი შენობა მდგარა ,სადაც ვარლამ სიმონიშვილი, ვლადიმერ ერქომაიშვილი და გიორგი სალუქვაძე მომღერალთა გუნდს ამეცადინებდაო. საინტერესოა რატომ არ ჩათვალა საჭიროდ ზემოთ აღნიშნული ეკლესიის მოხსენიება 1897 წელს ოზურგეთში მყოფმა ეთნოგრაფმა და საზოგადო მოღვაწემ თედო სახოკიამ.

ოზურგეთის ეკლესიას ოზურგეთლები ოზურგეთის ტაძარს ეძახდნენ. იგი მდებარეობდა ახლანდელი კინოთეატრ „ოზურგეთი“-ს წინ მდებარე ბაღში .ოზურგეთის ცენტრალურ ტაძარს. უკავშირდება იმდროინდელი პერიოდულ პრესაში კერძოდ.გაზეთი „ცნობის ფურცელი“-ში გამოქვეყნებული პუბლიკაცია:“დღეს ჩვენ ოზურგეთში დიდ სიხარულს და სიამოვნებას ვგრძნობთ მით,რომ 10 ნოემბრიდან ყოველ კვირას და უქმე დღეებში ვისმენთ და ვტკბებით ხელოვნურად და მწყობრად გაჩაღებულს ,ოზურგეთის ტაძარში წირვის გალობით, რომელიც ნოტებზე გადაღებულია ფ. ქორიძის მიერ და ყოველ წირვაზე თანდათან აღტაცებაში მოჰყავს მსმენელი საზოგადოება.მიუხედავად ცუდი ამინდებისა ყველა ქალი და კაცი დიდი და პატარა სიხარულით მიეშურება ეკლესიაში გალობის მოსასმენად .ყველაზე ღრმა და დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ეს გალობა.ჭეშმარიტად დიდი მადლობის ღირსია ბატონი ქორიძე, როდესაც ეს ძვირფასი განძი ეროვნებისა ჰქრებოდა, გადაიღო ნოტებზე და უკდავად აქცია. ბატონმა ქორიძემ ერთი მეოცედი ნაწილი თავისი მძიმე და რთული შრომისა დააბეჭდვინა და ახლა ავრცელებს ხალხში,დარწმუნებული ვართ,რომ სამღვდელოება და საზოგადოებაც სოფლისა და დაბა-ქალაქებისა მიიწვევენ ბატონ ქორიძეს და იზრუნებენ თავიანთ ეკლესიაში შემოიღონ მშვენიერს გალობას, რომელიც არის საზრდო ხალხის ზნეობრივი ცხოვრებისათვის.“(გაზ.“ცნობის ფურცელი,“ №52 1898 წელი,10 დეკემბერი) .ოზურგეთის ცენტრალურ ტაძარს უკავშირდება ყოვლად სამღვდელო გრიგორის - გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ვიზიტი ოზურგეთში 1887 წელს. ჟურნალ „მწყემს-ში“ № 19 გამოქვეყნებული პუბლიკაცია, გვამცნობს ამ ვიზიტის შინაარს: ქალაქის ეკლესიაში უამრავი ხალხი ელოდა.საკრებულო ტაძრის დეკანოზმა მღვდელმა ალ. კავკასიძემ სიტყვით მიმართა:,,თქვენო ყოვლად უსამღვდელოებავ, მეუფეო დღეს გურიის საზოგადოება დიდ სიხარულშია, იგი დიდი აღტაცებით ეგებება თქვენს მეუფებას, გურიის საზოგადოება ჩვეულია მისგან უხვად სულიერ საზრდოს მიღებას.....დღეს გიხილა გურიის საზოგადოებამ პირისპირ, მომავალ მის დასამწყსევლად და უხარის მას, სიხარული უმეტესად სუფევს სამღვდელოებაში, რომელის არის უმთავრესი საგანი თქვენი ზრუნვისა,ამ სამღვდელოებისათვის საჭიროა საიმედო მწყემსმთავარი ,რომელმაც ეს სამღვდელოება სწორ გზაზე დააყენოს.ყოველივე ამას მოელის სამღვდელოება და გულისძგერით ეგებება იგი თქვენს მეუფებას......დასასრულ მოვედ სახელითა უფლისათა,უმოწყალესო მღდელ-მთავრო აკურთხე სამწყსო შენი......საპასუხოდ ყოვლად უსამღვდელომ სთქვა ვრცელი სიტყვა:“....ყოველი კეთილ-დღეობის უპირველესი წყარო არის განათლება .გურიის სამღვდელოებას განათლება სჭირია, ამისთვის სამღვდელოებამ უნდა ეცადოს, შვილები სასწავლებელში მისცეს, გურულნი ნიჭიერი ხალხია და თუ მამები ეცდებიან შვილების განათლებას, მაშინ მათი შთამომავლობა უთუოდ მალე შესდგამს ფეხს განათლების წრეში,“ მეორე დღეს 18-ს ყოვლად სამღვდელომ სწირა ქალაქის ეკლესიაში.მთელი ქალაქის მცხოვრებნი და ზოგნი გარეშენიც დაესწრნენ წირვაზედ, საყდარში ტევა არ იყო:მრავალი მლოცველნი გარეთ იდგნენ,წირვის დამთავრების შემდეგ ყოვლად სამღვდელომ წარმოთქვა სიტყვა:“ ...... დღეს ჩემს უღირსებისა ოდენ სახითა შეერთდა გურიისა და სამეგრელოს სასულერო მთავრობა, შეერთდნენ ორნი ძმანი რომელთაც საუკუნეთგან საუკუნემდე ჰყოლიათ სარწმუნოების და მამულის ზოგადი მტერი და ჰქონიათ ზოგადი ჭირი და ლხინი.დედამ ღვთისამან,ივერიისა შემწემან და მფარველმან ინება,რათა შეერთებულიყვეთ ჩვენ ერთად. გვეტვირთა ერთი და იგივე ქრისტეს ჯვარი ,გვედიდებინა ერთი და იგივე ეკლესია, შეგვეერთებინა ლოცვა და ცრემლი ჩვენი....აწ შეიცვალა დრო,დადგა ჟამი მყუდრო სულიერად და ხორციელად აღორძინებისა და აყვავებისა...... მოგიწოდებთ თქვენ პატიოსანო სამღვდელო და კეთილგონიერნო ერისგანო შევაერთოდ ძალა, განვახლდეთ და აღვიჭურნეთ სულითა საჭურველთა მომკვდინებისა ურწმუნების სენისა წინააღმდეგ.და ღმერთი მაღალი,რომელი ხედავს მდაბალთა მოგვცემს..... ჩვენ ძლევისა ძალისა ქრისტე იესოს მადლით, რომელცა იყვნენ თქვენითა ამინ! წირვის შემდეგ ყოველი სამღვდელო წაბრძანდა გრიგოლ და ლევან გურიელთა სასახლეში, სადად დაბინავდა დროებით,ამ დღეს ყოველისაგან დიდად პატივცემულმა გრიგოლ გურიელმა გაუმართა სადილი ყოვლად სამღვდელოს,ამ სადილზე იყვნენ მიწვეულნი საეროც და სამღვდელონიც.“

ოზურგეთის ეკლესიის შესახებ გაზეთი „ივერია“ წერდა: „26 იანვარს განსვენებული ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალების წლის თავზედ ოზურგეთის ტაძრის მღვდელმა დ.დუმბაძემ ,გ.სიხარულიძემ და გალოგრემ განსვენებულის ნათესავის მ.ჯ. თაოსნობით გადაიხადა პანაშვიდი.ამ ღვთის მსახურებას საზოგადოება მრავლად დაესწრო და მათ შორის ოზურგეთის ქალაქის მოურავი თავდგირიძე,ხმოსნები,, თავად -აზნაურობა და სხვა. ბატონი ქორიძის ხორო ქართულად გალობდა ეკლესიაში“ (გაზ.“ივერია“ 22.11 თებერვალი 1897წ.)

საინტერესოა ნინო ნაკაშიძის მოგონება ფილიმონ ქორიძის დაკრძალვის შესახებ: „ფილიმონ ქორიძე გარდაიცვალა 1911 წელს აგარაკ ბახმაროზე.როდესაც მისი შვილი მიხეილი ჩამოვიდა ოზურგეთში ფილიმონი ეკლესიაში დასვენებული დასვენებული ნახა, მაშასადმე უნდა ვიფიქროთ,რომ ფილიმონი დასაფლავებულია იქვე ეკლესიის გალავანში ეს მე დამიდასტურა ფილიმონის რძალმა(შვილის მეუღლემ) ნინო(ნუცა) ჩხეიძემ, რომელმაც მითხრა,რომ ნამდვილად ოზურგეთის ეკლესიის გალავანშია დაკრძალული.(ნინო ნაკაშიძე „,მოგონებები გურიაზე.“. ნინო ნაკაშიძე იგონებს ვფიქრობ ქალაქის მორე ეკლესიას, რომელის უნდა ყოფილიყო კინოთეატრ „ოზურგეთ“-ის გვერდზე ადრე არსებულ საზფხულო კინოთეატრის ადგილას.აღნიშნული ეკლესიის ფოტო შემორჩენილია 1905 წლის ოდესაში გარდაცვლილი სტუდენტ ექვთიმე მუჯირის გამოსვენების ამსახველ ფოტოზე.

1952 წლისათვის,როგორც ამას ნინო ნაკაშიძე იგონობს ოზურგეთში აღარ იდგა არც ერთი ეკლესია,, არც ის ორი ეკლესია ქართული და რუსული:“ ბაღის ქვემოთ აღარ იდგა ექიმ არსენ ვადაჭკორიას სახლი, არც ის ორი ეკლესია ქართული და რუსული .იმათ ადგილას ხარობდა ციტრუსოვანი ლამაზი ბაღი მანდარინის ხეებით და მაგნოლიებით დამშვენებული. შიგა და შიგ ბაღში ჩადგმული იყო საზურგიანი სკამლოგინები მოსეირნეთა დასასვენებლად“ (ნ.ნაკაშიძე „მოგონებები გურიაზე).

**მანანა ლომაძე**

ოზურგეთის ისტორიული
მუზეუმების ფონდების მცველი.

# ღერილი მეცხრე

**სამშვინელი.** საინტერესოა, რა არის სამშვინელი და რა როლს ასრულებს ის ადამიანის ყოფიერებაში.

სულს, თავისი დავალებების შესასრულებლად, ფიზიკური სხეული სჭირდებოდა, რამდენადაც მან იცოდა სხეულის დანიშნულება და მისი მართვის წესებიც. გარდა ამისა, განსხვავებული დიაპაზონის გამო, იგი ვერც მის შექმნასა და ვერც მის მართვას უშუალოდ თვითონ მაინც ვერ მოახერხებდა. მის შესაქმნელად და სამართავად ისეთი დამხმარე მექანიზმი უნდა შეექმნა, რომლის მეშვეობითაც იგი თავის ყოველგვარ სამუშაო პროგრამას თავისუფლად განახორციელებდა. სულმა კიდეც შექმნა ასეთი შუალედური რგოლი, მას სამშვინელი ეწოდება. ე. ი. სულის გონიერმა კომპიუტერმა სხეულის შექმნამდე ჯერ შექმნა სამშვინელი, ხოლო შემდეგ მისი მეშვეობით — სხეული.

უშუალოდ ფიზიკური სხეულის შექმნის პროცესი, რომელსაც სიცოცხლის წარმოშობა ეწოდება, განხილული იქნება შემდგომ.

სამშვინელის სახით სულმა ისეთი მექანიზმი შექმნა, რომელსაც, ფიზიკური სხეულის გარდა, სულისაგან მიღებული ნებისმიერი დავალების ფიზიკური შესრულების ფუნქციაც ექნებოდა. ე. ი. სულს სხეული უნდა ემართა სამშვნელის მეშვეობით.

ადამიანის დაძინებისას სული ტოვებს სხეულის მართვას, ხოლო გაღვიძებისთანავე მას უკანვე უბრუნდება.

სხეულში მიმდინარე პროცესებს — სუნთქვას, გულის მუშაობას, საჭმლის გადამუშავებას და ორგანიზმში მიმდინარე სხვა უამრავ სამუშაოს სჭირდება უწყვეტი მართვა. სამშვინელი კი ისეა დაპროგრამებული, რომ სულის მიერ სხეულის მართვის მიწოდების შემდეგ ბიოლოგიური პროცესების მართვას იგი ჩვეულებრივ განაგრძობს. სამშვინელს სულისაგან საამისოდ საჭირო სამუშაო ენერგია გააჩნია. სული არა მარტო დაძინებისას „ტოვებს“ სხეულს, არამედ მაშინაც, როდესაც სხეულს სიცოცხლისუნარიანობა ეკარგება და მაშასადამე მის მიერ სხეულის მართვას აზრი ეკარგება.

სულის გონიერი კომპიუტერის მიერ ისიც გათვალისწინებულია, რომ სხეულს დაკარგული სიცოცხლისუნარიანობა სხვადასხვა გზითა და საშუალებით შესაძლებელია კვლავაც დაუბრუნდეს. ამისათვის აუცილებელია ფიზიოლოგიური პროცესები სხეულში გარკვეული დროის მანილზე გრძ-ელდებოდეს.

სულის მიერ სხეულის მიტოვების შემდეგ, თუ სამშვინელი არ აგრძელებს სხეულში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების მართვას, მაშინ სისხლის მიმოქცევის შეწყვეტა და სხეულის დაშლა სულის მიერ მისი დატოვებისთანავე დაიწყება და ყოველგვარი სასწრაფო სამედიცინო დახმარებაზე ფიქრი უაზრობა იქნება, ე. ი. მწვავე კრიზისულ სიტუაციაში ადამიანის მკურნალობის საქმეს გზა გადაეკეტება. ამდენად, ასეთ ვითარებაშიც კი სამშვინელის მიერ ორგანიზმი ჩვეულებრივ იმართება. თუ სხეულის სიცოცხლისუნარიანობა, ანუ მისი ფიზიკური შესაძლებლობები აუცილებელ მინიმალურ საშუალებას მაინც იძლევა.

სულის მიერ სამშვინელისათვის სამუშაოდ მიცემული საჭირო პროგრამა და ენერგია მხოლოდ სამი დღე-ღამის სამყოფია. თუ ამ ხნის მანძილზე სხეულს საჭირო სიცოცხლისუნარიანობა ველარ დაუბრუნდება, მაშინ სულის მსგავსად სხეულს სამშვინელიც დატოვებს და ფიზიკური სხეული დაშლასა და რღვევას დაიწყებს. საბოლოო ჯამში, ადამიანის შემადგენელი ნაწილებია სული, სამშვინელი და სხეული.

სული წარმოადგენს განგების დავალების შემსრულებელს, სამშვინელი — სულის მარჯვენა ხელს განგების დავალების შესრულების საქმეში, ხოლო სხეული არის ის საჭირო ინსტრუმენტი და ერთადერთი საშუალება, რომლითაც განგების დავალება უნდა შესრულდეს.

აღნიშნული საკითხების გარკვევა ათეული საუკუნეების განმავლობაში აინტერესებდა და აინტერესებს კაცობრიობას.

რაც უფრო საკითხთა გარკვევის შუაგულში შევალთ, უფრო და უფრო საინტერესო თვისებები აღმოჩნდება, რომელიც ადამიანშია და მის გარკვევას ვცდილობთ. ასეთია ლერისონისა და მსოფლიო მეცნიერების ნარკვევები, რომლებიც ჩვენში უაღრესად განცვიფრებას გამოიწვევს.

**(გაგრძელება იქნება)**

მასალები შეაგროვა **გურამ ცერცვაძემ**, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიურმა დოქტორმა.

# „მასწავლებელო ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი შვილის მშობელი“

დიდი ღირსებაა იყო მასწავლებელი, მაგრამ უდიდესი ღირსებაა იყო ბევრისგან გამორჩეული. სწორედ ასეთი იყო გუგული მასწავლებელი, რომელიც ორმოცდაათი წლის განმავლობაში ასწავლიდა მათემატიკას ბაილეთის საჯარო სკოლაში.



გუგული ჩხაიძე გამოირჩეოდა არა მხოლოდ პროფესიონალიზმით, არამედ კოლეგიალობითა და საქმისადმი განსაკუთრებული ერთგულებით. მის მიერ ჩატარებული გაკვეთილები, იყო მრავალფეროვანი, საინტერესო და ბავშვებისათვის მისაწვდომი. მოსწავლეებს ძალიან უყვარდათ გულისხმიერი, მზრუნველი, ჯანსაღი იუმორით სავსე მასწავლებელი. ის ბავშვებისათვის არამარტო მასწავლებელი, არამედ მათი ერთგული მეგობარი და მესაიდუმლეც იყო. მშვენიერი გარეგნობის ქალბატონი, მუდამ ელეგანტურად გამოიყურებოდა, სოფელში დიდი თუ პატარა მის მიმართ უდიდეს სითბოს და სიყვარულს გამოხატავდა.

უანგარო შრომით დაასრულა ღვაწლმოსილმა პედაგოგმა პედაგოგიური საქმიანობა, მაგრამ კონტაქტი არ შეუწყვეტია სკოლასთან , კოლეგებთან, მის აღზრდილებთან ,მათი წინსვლა და წარმატებები ახარებს. მასაც არ ივიწყებენ. მისი ხშირი სტუმრებია, პედაგოგები, განათლების მუშაკები, მისი აღზრდილები.

საკუთარი შვილები არ ჰყავს, მაგრამ ამით ბედს არ უჩივის, რადგან თავს უამრავი შვილის მშობლად თვლის. დიახ, ასეა მას ხომ შვილივით უყვარს ყველა მისი აღზრდილი მოსწავლე. მათი ბედნიერება სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

2018 წლის 7 თებერვალს გუგული მასწავლებელს 86 წელი შეუსრულდა.

გუგული მასწავლებელო,

გილოცავთ დაბადების დღეს, გილოცავთ, გეფერებით, გეთაყვანებით..ჯანის სიმრთელე და ლამაზი დღეები არ მოგაკლოთ უფალმა. სიხარულით შეგებებოდეთ ყოველ განთიადს.

დიდი სიყვარულით

**ბაილეთის საჯარო სკოლის პედაგოგები.**

# სკანვორდი




## № 5-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე —თამარ ციციშვილი; ირანის დედაქალაქი — თეირანი; ... კანდელაკი — თიკა; გარეული ცხოველი — ნუკრი; გვამებზე მკითხაობა — ნეკრისუნი; ცხენის სადგომი — თავლა; ლაღიძის ოპერა — ლელა; ქალის სახელი — ალა; ხევი — ოლე; ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი — სამთავისი; დეკორატიული მცენარე — პალმა; საოპერო ხმა — ბარიტონი; ქართული გვარი — თაბაგარი; პატარა ნაკადული — რუ; სახალხო კრება სპარტაში — აპელა; სოფლის ყრილობა — ჯამაათი; მინანქარი — ემალი; ცხვირით რომ შეიგრძნობა — სუნი; მაგარის ანტიპოდი — რბილი; გობი — ვარცლი; სიგრძის საზომი ერთეული — მილი; ორი შური — უზალთუნი; მე-3 პირის ნაცვალსახელი — იგი; ქალის სახელი — ნაილი; ლექსის ფორმა — შაირი; თვალის სითხე — ცრემლი; განთიადი — აისი; ნადირთა მეფე — ლომი; ბოსტნეული მცენარე — ბოლოკი; არაბული სახელმწიფო — იემენი; თეატრის შემოქმედებითი ჯგუფი — დასი; კოპიტი — იფანი; ქიმიური ელემენტი — ბორი; ნორვეგიელი მწერალი — ბოლსტადი; პირველი ორნიშნა რიცხვი — ათი.

# ქალაქი ოზურგეთი

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №1-5

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის სამუზეუმო საქმის სპეციალისტი



კასტელის ჩანახატი

გურიაში ყოფნისას,-როგორც კასტელი გადმოგვცემს,-ოზურგეთში უცხოვრია ვინმე ფრიდონს, რომელსაც სცოდნია ჭრილობების სამკურნალო არაჩვეულებრივი ხერხები... იგი როგორც გამოცდილი ექიმი მოუწვევია გურიის პატრიარქ მალაქიას, რომელიც შეპყრობილი ყოფილა მრავალი ავადმყოფობითა და წყლულით.. მთავარმა იგი კეთილად მიიღო და თავის სახლში ერთ-ერთ უფროსად დანიშნა. ფრიდონი იყო ჩვეულებრივი ტანის, მკაცრის სახით გრძელი წვერით, გამჭრიახი გონებით, ენების მცოდნე. იგი შეჩვეული იყო სხვადასხვა ენებზე ლაპარაკს: შეეძლო ლათინურ, იტალიურ, თურქულ, სირიულ, იბერულ ენებზე ლაპარაკი. ამიტომ, როდესაც მთავარმა შეიტყო მისი ხელოვნება, მიიყვანა (ფრიდონი), არა მარტო თავისი ოჯახით ზოგი სხვა საქმის (აღებმიცემობა) შესასრულებლადაც ვინაიდან მას კარგად ესმოდა ყველა საკითხი.

კასტელის ამ ცნობას ფრიდონის განსწავლულობაზე ადასტურებს თიანეთელთა ორდენის წევრი-დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი—სამედიცინო საქმის მცოდნე. (ფრიდონი),-აღნიშნავს ჯუდიჩე,-როდესაც უკვე გურიაში ჩამოვიდა „იგი მიიღო მალაქიამ, ერთი საოცრებათაგანი, თავისი ხანდაზმულობისა და ცხოვრების დასაყრდენი, თავისი ჯანმრთელობის ბედი მას ჩააბარა. ფერინდონი (ასე იხსენიებს მას ჯუდიჩე, ე.გ.) ტანმაღალი იყო, სახით სერიოზული, გრძელი წვერითა და გარეგნობით მიმზიდველი. უდიდეს ნიჭსა და მონდომებას იჩენდა განსაკუთრებით ენაში. ფლობდა იტალიურს, ლათინურს, თურქულს, სლავიანურსა და ქართულ ენებს. როდესაც მთავარი დარწმუნდა, რომ იგი კარგად მკურნალობდა, თავისი სამფლობელოს ქვეშერდომად გახადა, ქონებით გაამდიდრა, მისცა სახლები, მონები“...

ქრისტიფორე კასტელს ოზურგეთში უნახავს მრავალი საინტერესო ხელნაწერი წიგნი.. „ბევრი წიგნი აქვთ,—აღნიშნავს კასტელი,-მაგრამ ყველანი ხელნაწერის სახით, რომელთა შორის არის საღმრთო რჯულის წიგნები... უძველესი კანონები, სარაინდო ზღაპრებისა და პოეზიის წიგნები“.

წყაროთა არარსებობის გამო ძნელია იმის თქმა თუ რომელ ხელნაწერებსა და სარაინდო პოეზიის რომელ ნიმუშებზე მიუთითებს კასტელი, თუმცა იმდროინდელ ოზურგეთში კულტურული წიაღსვლის უცილობელ გარემოებაზე მიგვანიშნებს მისივე სხვა ყურსაღები ცნობები. გურიაში (ოზურგეთში) გაიცნო კასტელმა თავადი დავით ბერიძე. დაუახლოვდა მის ოჯახს, გაეცნო თავადის მეუღლეს ფომინისია ბერიძეს, სათნოებითა და სილამაზით აღსავსე ქალს, რომელიც ამავე დროს რომის მისიონის მდივან-მწიგნობარიც ყოფილა. საქართველოს მეფესთან, დედოფალთან, მთავრებთან თუ თავადებთან ყველა მნიშცნელოვან მიმოწერას მისიონის სახელით ის აწარმოებდა.

მისიონერმა კასტელმა ამაგდარ მოღვაწე ქალს ფომინისია ბერიძეს ამაგი როდი დაუკარგა. მისი მშვენიერი სურათი დახატა, რომელსაც საკმაოდ ფართო და მნიშვნელოვანი წარწერა გაუკეთა, რომელიც ასე იუწყებოდა: „კეთილშობილი გურიის თავადის მეუღლე პოეტი ფომინისია ბერიძე, დიდად ნიჭიერი და სხვადასხვა სათნოებით სახელგანთქმული... ბევრი მოწყალება მომცა მრავალ შემთხვევაში ხელი შემიწყო. ჩვენი მწერალი იყო, როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი წერილის მიწერა გვინდოდა მეფესთან, დედოფალთან, აგრეთვე სხვასთანაც, სადაც წვალებით ვცხოვრობთ. ამ ქალბატონის სახლში მოვნათლე ათი ბავშვი.“

საინტერესოა ბერიძეთა ამ სახელგანთქმული ასულის პორტრეტის აღწერილობაც: მას სადად აცვია. ყელზე აქვს მარგალიტის ორმაგი მძივი, ფართო მანტიას ირგვლივ ბეწვი გასდევს, ახურავს მარგალიტით მორთული თავსაბური. წინ ლეჩაქი ჩამოუდის, ქაღალდის გრაგნილზე ფრთიანი კალმით წერს მის წინ იატაკზე აწყვია ფანქრის სათლელი დანა, დიდი მაკრატელი და ლარნაკი სურნელით საკმეველისათვის.“

ჩვენთვის ჯერეთ უცნობი, კასტელის მიერ დახატული გურიის მკვიდრი ქალი ფომინისია ბერიძის შთაგონებითი სახე მხატვარ ქალ როდაია მელიქაძესა და პოეტ სულხან ავთანდილიშვილთან ერთად კიაფობს სამასი წლის წინარე პერიოდის შორეული წარსულიდან. სამწუხაროდ მათი ნაღვაწი არაფერი შემოგვრჩა და არც მათი არსებობა გვეცოდინებოდა, კასტელი რომ არა, მაგრამ ისტორიას აქვს მადლიერების გრძნობა და ისინი უკვალოდ არ დაიკარგა საქართველოს. ვინ უწყის რაზე წერდნენ ისინი, რა აწუხებდათ... ჩვენ ხომ არცერთი სტრიქონი არ შემოგვრჩა მათი.

„ისინი უთუოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, სხვანაირად ქრისტიფორე კასტელი ასე გულმოდგინედ და რუდუნებით არ დახატავდა მათ. დრომ დაკარგა მათი ნამოღვაწარი, მაგრამ შეინახა მათი სახეები, ეს არის ალბათ ისტორიის მადლიერება.“

XVII საუკუნის პირველი ნახევრის პერიოდი ძველი ოზურგეთის სინამდვილეში შეინიშნება კულტურული მაჯისცემის ერთობ მკვეთრი აღმავლობა, რაც იმთავითვე ემთხვევა, ადასტურებს და ავსებს დონ ქრისტოფორო დე კასტელის მიერ ჩვენთვის მოწოდებულ ამ საინტერესო ცნობებს.

XVI საუკუნეში გურიის მთავრის „ქაიხოსრო პირველისა და მისი დედის ათაბაგის ასულის თამარის დაკვეთით დამზადებულ იქნა თეთროსნის დავითნი, რომლიც თავისი შესრულების ტექნიკით, გემოვნებითა და ოსტატობით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. მამია მეორე გურიელის ბრძანებით დამზადებულ იქნა სახარების საკითხავები და კურთხევანი. გიორგი გურიელის დაკვეთით გაბრიელ საბლუამ გადაწერა თვენი. გიორგი მწერალმა —გულანის ერთი ნაწილი ტიბიკონი. ამ გულანის ზოგი ნაწილი გადაწერილ იქნა მამია გურიელის ბრძანებით.“

ზემოაღნიშნულიდან ცხადი უნდა გახდეს, რომ კასტელისეული ჩანახატები მხარის (გურია) თუ მისი უმთავრესი ცენტრის ოზურგეთის შესახებ „სამი საუკუნის მიღმა მომხდარი მოვლენების ერთადერთი მოწამეა, რომელსაც ვერ უტოლდება მომდევნო საუკუნეების ქართველ მემატიანეთა არასრული ცნობები“.

გარდა ფომინისია ბერიძისა, კასტელმა შექმნა XVII საუკუნის 30-იანი წლების ოზურგეთის „ბრწყინვალე ქალთა“: “ადამიანად ქმნილ სერაფიმთა“ და „ანგელოზთა“ მთელი გალერეა, „რომლებსაც თვალებში მზე ჩასდგომოდათ და პირზე აპრილი უთამაშებდათ.“

პატრებტან სიახლოვემ შთაუნერგა ლელოკას სულის სიწმინდე და სისპეტაკე. „იგი,-აღნიშნავს კასტელი,-ყოველდღე თავს იკავებდა ძლიერი სურვილის გულისთქმისაგან, აძევებდა შეყვარებულებს, უარყოფდა მორთულ-მოქარგულ ტანისამოს... ცოდვების ლაქებს მარხვითა და ცრემლით იბანდა... თავმდაბალი და თვალებდახრილი წინ გაუვლიდა ხოლმე ხალხს... მტრისათვის მაგალითი შეიქმნა მწუხარების ლოცვასა და მონანიებაში... გაკვირვებულნი უცქეროდნენ და ამბობდნენ: აგერ ლელოკა, ეს მაცდური სარკე ლათინელი პატრების მზრუნველობამ სამაგალითო გახადა და იგი ჯოჯოხეთის მაცდურების საგანი რომ იყო, ახლა სიწმინდის ორნამენტად გადაიქცა.“

ლამაზი მძივები აქვს ასხმული, თეთრი თავსარქმელი ხურავს და ორნამენტებით შემკული სამოსი მოსავს, კასტელის მიერ დახატულ ოზურგეთელ ქალბატონ კარანცას, სათანადო მინაწერით: „პატივცემული გურიელი, ბატონიშვილი ქალი და ჩვენი პატრი მისიონერების განსაკუთრებული კეთილისმყოფელი დიდი ქალბატონი კარანცა.“



ქრისტეფორე კასტელი

ზეციდან მოწყვეტილ ვარსკვლავთა დელეს გვაგონებს კასტელის ხელით უკვდავქმნილი, სანდომიანი სახითა და მეტყველი თვალებით მზირალი ოზურგეთის სამკვიდროს მზექალი, მამია გურიელის ასული ელენე. დიდებულია მთავრის ასულის „დიბა-ატლასის“ სამოსიც. მორთული ყვავილთა წნულებითა და ჩუქურთმათა დიადემებით. ასევე მიმზიდველად გამოიყურება ორ პატარა ლეკვთან მოთამაშე მისი თანხლები ორი პატარა ბავშვი. მხატვრის შთაგონებათა ძიებით ასახული „წმინდანთა“ ეს ულამაზესი სცენა. უდაოდ „აფეთქებული სიცოცხლის წყურვილია“ და „ცხოვრების ხის“-ზე სიკეთისა და ზე ცნობადის“ მკაფიო გამოხატულება. ცხოველმყოფელი სიკეთის სხივი მოსავს კასტელის მიერ შესრულებულ „პატრების დიდი კეთილისმყოფელის“ გურიელის ბატონიშვილი ქალის პორტრეტებს“ ძველი ოზურგეთის სხივნათელ ქმნილებებს.“

„ვისაც კი უნახავს ქართველ ქალთა ცხენით ჯირითი, - აღნიშნავს კასტელი, - მისთვის ძნელი არ იქნება დაიჯეროს, რომ ესენი ამაზონები არ არიან, რადგან ცხენზე მამაკაცებივით სხედებიან და დააჭენებენ.

ენვერ გოგუაძე

## სამგლოვიარო განცხადებები

ოზურგეთის ყოფილი სკოლა-ინტერნატის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება აღმზრდელი მასწავლებლის, უკეთილშობილესი პიროვნების **ნინო ჩხაიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

დაიკრძალა სამშაბათს, 6 თებერვალს.

გრიბოედოვის ქუჩის უახლოესი მეზობლები მწუხარებით იუწყებიან **ლალი ჩავლეიშვილის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

დაიკრძალა სამშაბათს, 6 თებერვალს.

## უფასო განცხადება

### 90 ბეჭვდითი ნიშანი უფასოდ!

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი „ალიონი“ გთავაზობთ სერვისს „უფასო განცხადების ტალონი“, რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია. 90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გექმებათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საქმიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.

# სოფელი მაკვანეთი. ფოტორეპორტაჟი ილო თოიძის კარმიდამოდან


მაკვანეთის ცა ილო თოიძის ეზოდან


ფაცხის ხედი აგავას მხრიდან


ფაცხის ატრიბუტები


შქერის ღობე გურული ორნამენტებით


ეზოს მაწყურებელი ბოლოწმინდა


არყის გამოხდაში მეგობრებიც მონაწილეობენ


ექსპონატები ოჯახის მინიმუზეუმში


მინორა ჯაყელის შეგონება - „ღმერთმა მოგცეს ინდაურის ჭკუა, ბატის გონება, ერთ კვირაში შეგეჭამოს მამაშენის ქონება". 1921 წელი მინორა ჯაყელი

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცირე წვიმა +4+12 | წვიმა +3+7 | მცირე წვიმა +2+7 | მზე, ღრუბელი +4+14 | მზე, ღრუბელი +6+17 | მცირე წვიმა +3+7 | მცირე წვიმა +4+6 |
| 12 თებერვალი ორშაბათი | 13 თებერვალი სამშაბათი | 14 თებერვალი ოთხშაბათი | 15 თებერვალი ხუთშაბათი | 16 თებერვალი პარასკევი | 17 თებერვალი შაბათი | 18 თებერვალი კვირა |